

როგორ უზრუნველვყოთ კრიზისული სიტუაციების დროს სასწავლო
პროცესის ეფექტური მართვა

პრაქტიკის კვლევა

ქრისტინე ინგოროყვა, თინათინ შუბლაძე, დალი ჯაბაური

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

(სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ეკატერინე კვირიკაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ კვლევა არის ჩვენი ორიგინალი ვერსია, გამოყენებული ლიტერატურა დამოწმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას რომელიც არ არის ციტირებული.

ქრისტინე ინგოროყვა

თინათინ შუბლაძე

დალი ჯაბაური

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ, სსიპ ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლაში. აღნიშნული კვლევა ჩატარდა პრაქტიკული კვლევის მეთოდით სკოლის დირექტორისა და კვლევის ჯგუფის აქტიური ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე და მისი მიზანი იყო, ისეთი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციას დაეხმარებოდა კრიზისების დროს, კერძოდ, დისტანციური სწავლების პერიოდში სკოლის ეფექტიანად მართვაში.

2020 წელს მთელ მსოფლიოში covid 19-ის გავრცელების გამო საგანმანათლებლო სისტემები, მათ შორის საქართველოშიც ახალი გამოწვევების და კრიზისის წინაშე დადგა. ქვეყანაში სასწავლო პროცესი გაგრძელდა დისტანციურ რეჟიმში. კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება. დავადგინეთ სკოლის მზაობა და კონკრეტულად რა სირთულეებს წააწყდნენ დისტანციურ სწავლების ეტაპზე გადასვლისას. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მასწავლებლებს ჰქონდათ გარკვეული მზაობა ამ პროცესზე გადასასვლელად, თუმცა იყო რიგი პრობლემებისა. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება კრიზისების დროს სკოლის მართვასთან მიმართებაში და განვახორციელეთ ინტერვენციები, რომლებიც სკოლას დაეხმარა წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში.

იმედია, ჩვენი გამოცდილება იქნება მნიშვნელოვანი ელემენტი სკოლის სრულფასოვანი მუშაობისთვის, როგორც არსებული პანდემიის მომდევნო რისკების შემთხვევაში ასევე, მსგავსი ან სხვა კრიზისული სიტუაციების დროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ანტიკრიზისული გეგმა, დისტანციური სწავლება, კიბერბულინგი, კრიზისი, ინკლუზიური განათლება.

Abstract

This paper represents the practical research report, that was conducted by the students of Master of Education Administration at the Faculty of Business, Technology and Education of Ilia State University at LEPL Tbilisi N Public School. The above mentioned research was conducted by using the practical research method with active collaboration between the principal of the school and the research team, and it aimed planning and implementation of interventions that would help the school administration during the crisis, in particular, in effective management of the school during distance learning.

In 2020 due to Covid-19 education systems globally, including in Georgia, have faced new challenges and crises. The learning process in the country was carried on remotely. In the first stage of the research the problems were identified. We have determined the readiness of the school and the specific challenges they had to face while shifting to the distance learning regime. The results of the study have demonstrated that the teachers were to some extent ready to shift to the new process, although there were a number of problems too. In order to solve these problems, we have studied several counties' experience in terms of school management during the crisis and have conducted interventions that helped the school to solve the arisen problems.

Hopefully, our experience will act as an important element for the full-fledged work of the school, not only during the subsequent risks of the existing pandemic, but also during the similar or any other situation of crisis.

The keywords are: anti-crisis plan, distance learning, cyberbullying, crisis, inclusive education.

მადლობა

მადლობას ვუხდით თითოეულ ადამიანს, რომელთა მხარდაჭერით და თანადგომით განვახორციელეთ პრაქტიკის კვლევა და რომელთა აქტიური ჩართულობის გარეშე გართულდებოდა ნაშრომზე მუშაობა.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, დირექტორს, სკოლის კოლექტივს, მეცხრე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ჩვენთვის გაწეული დახმარებისთვის და მუდმივი მხარდაჭერისთვის. ყველა მათგანი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ კვლევაში, რაც გამოიხატებოდა, როგორც კვლევისთვის მომზადებული კითხვარის შევსებაში, ასევე, შინაარსობრივ და მორალურ მხარდაჭერაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციის პერიოდში ხელახლა მოგვიწია საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება და დამუშავება, რაც ნამდვილად ვერ განხორციელდებოდა წარმატებით სკოლის კოლექტივის დახმარების გარეშე.

გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ეკატერინე კვირიკაშვილს, რომელიც გვეხმარებოდა და იყო ჩართული სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე. გვაწვდიდა საჭირო ინფორმაციას, ლიტერატურას და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გვიწვედა კონსულტაციას, როგორც საკვლევი საკითხის შერჩევის და დამუშავების, ასევე, ინტერვენციების შემუშავების და ნაშრომის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაზე.

ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს ოჯახის წევრებს, მეგობრებს და თანამშრომლებს, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ კვლევის განხორციელებაში.

მიუხედავად covid 19-ი ვირუსული ინფექციის გავრცელების გამო წარმოქმნილი ყველა სირთულისა თუ სიახლისა, რომელიც წარმოიშვა კვლევის განხორციელების პერიოდში, რომ არა ის მხარდაჭერა და თანადგომა, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდით თითოეული მათგანის მხრიდან ნაშრომზე მუშაობა კიდევ უფრო გაგვიძნელებოდა.